

„აიესაი“ ინტელექტისა და განათლების საერთაშორისო სკოლის

შინაგანაწესი

ISIE

ქ. თბილისი

2018 წელი

შინაგანაწესის სარჩევი

1.0 სარჩევი / *გვერდი 2*

2.0 აიესაის განმარტება / *გვერდი 3*

3.0 ორგანიზაციის სტრუქტურა, უფლებები და მოვალეობები:

- 3.1 წევრი / *გვერდი 4*
- 3.2 პროექტის მენეჯერი / *გვერდი 4*
- 3.3 ვიცე პრეზიდენტი / *გვერდი 4*
- 3.4 პრეზიდენტი / *გვერდი 4*
- 3.5 საარჩევნო ბორდი / *გვერდი 4*
- 3.6 დამფუძნებელი / *გვერდი 4*

4.0 საორგანიზაციო პროცესები:

- 4.1 წევრის მიღება / გათავისუფლების წესები / *გვერდი 5*
- 4.2 პროექტის მენეჯერის დანიშვნა / გათავისუფლების წესები / *გვერდი 5*
- 4.3 ვიცე პრეზიდენტის დანიშვნა / გათავისუფლების წესები / *გვერდი 5*
- 4.4 საერთო პროექტის განსაზღვრება / *გვერდი 6*
- 4.5 ინდივიდუალური პროექტის განსაზღვრება / *გვერდი 6*
- 4.6 ორგანიზაციის ფინანსების მართვის წესები / *გვერდი 7*

5.0 წევრთა ასამბლეა:

- 5.1 წევრთა ასამბლეას შეკრების წესები / *გვერდი 7*
- 5.2 წევრთა ასამბლეას უფლებები და მოვალეობები / *გვერდი 7*
- 5.3 წევრთა ასამბლეას ჩატარების წესები / გვერდი 8

6.0 საპრეზიდენტო არჩევნები:

- 6.1 წინა საარჩევნო პროცესები / *გვერდი 9*
- 6.2 საარჩევნო ბორდის შესარჩევი ეტაპი / *გვერდი 9*
- 6.3 არჩევნების დღის წესრიგი / *გვერდი 9*

7.0 ხელმოწერები / *გვერდი 10*

3.0 ორგანიზაციის სტრუქტურა, უფლებები და მოვალეობები:

3.1 წევრი

ორგანიზაციის წევრი არ არის მოხალისე, ის არის ბენეფიციარი, ფიზიკური პირი, რომელიც იღებს სარგებელს ორგანიზაციის ინტელექტუალური, ფინანსური და სხვა სახის რესურსებიდან. ორგანიზაციის წევრი იხდის ერთჯერად საწევრო გადასახადს 50 ლარის ოდენობით.

3.2 პროექტის მენეჯერი

ორგანიზაციის წევრი, რომელსაც აქვს გარკვეული პერიოდის გამოცდილება და იღებს პასუხისმგებლობას მართოს ინდივიდუალური და საერთო სახის პროექტი. მართოს პროექტის გუნდი,რსურსები და პროექტის ფარგლებში ითანამშრომლოს პარტნიორებთან.

3.3 ვიცე პრეზიდენტი

ორგანიზაციის წევრი, რომელიც შერჩეულია პრეზიდენტის მიერ წლის 1 ივლისიდან 1 აგვისტომდე და უფლება მოსილებას ახორციელებს მისთვის განსაზღვრული საქმიანობით: ადამიანური რესურსების, საგარეო კორპორატიულის, საგარეო საგანმანათლებლოს, საგარეო საერთაშორისოს, მარკეტინგის, ფინანსების ან პროექტების მართვის პროფილში. ვიცე პრეზიდენტმა შესაძლოა შეითავსოს რამოდენიმე პროფილი ერთდროულად, პრეზიდენტის გადაწყვეტილების მიხედვით.

3.4 პრეზიდენტი

პრეზიდენტი შერჩეულია კანდიდატის სტატუსით საარჩევნო ბორდის მიერ და არჩეულია პრეზიდენტად წევრთა უმრავლესობის (50%+1) მიერ. პრეზიდენტი პასუხისმგებელია სრულად აიესაის მართვაზე, როგორც შიდა პროცესებში ისე გარე პროცესებში. მისი საქმიანობა კანონისმიერია ორგანიზაციის დამფუძნებლის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე წლის 1 ივლისიდან 1 აგვისტომდე, რომლის მეშვეობითაც მას აქვს სრული უფლებები მინიჭებული ორგანიზაციის სამართავად.

3.5 საარჩევნო ბორდი:

საარჩევნო ბორდი შედგება 4 მუდმივი წევრისგან, დამფუძნებელი - გიორგი დოლიძე, თანადამფუძნებლები - ლევან სუმბაძე, საბა საბანაძე და მიხეილ ცაგურია. ბორდის წევრი ავტომატურად ხდება ყველა ყოფილი და მიმდინარე პრეზიდენტი. ბორდი უფლებამოსილია გასაუბრების საფუძველზე გამოავლინოს საპრეზიდენტო კანდიდატები. საარჩევნო ბორდს ორგანიზაციაში სხვა ფუნქცია არ გააჩნია, გარდა საარჩევნო პროცესებისა, როგორიცაა განსაზღვროს არჩევნების დრო, ლოკაცია და არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა საკითხის გადაწყვეტაში ჩაერთოს. ბორდი იკრიბება წელიწადში ერთხელ, წინა საარჩევნო პერიოდში - წლის მაისიდან ივნისის ჩათვლით.

3.6 დამფუძნებელი:

გიორგი დოლიძე არის შპს აიესაის დამფუძნებელი დირექტორი, წილის 100%-ის მფლობელი. მისი უფლება მოვალეობები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით შეზღდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ.

4.0 საორგანიზაციო პროცესები:

4.1 წევრის მიღება / გათავისუფლების წესები

4.1.1 წევრის მიღება ორგანიზაციაში შესაძლოა განხორციელდეს წლის ნებისმიერ პერიოდში, აიესაის პრეზიდენტის ან მის მიერ მინდობილი პირის გადაწყვეტილების საფუძველზე.

4.1.2 წევრი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) სტუდენტის აქტიური სტატუსის მქონე ან უმაღლესი სასწავლებლის განათლების ხარისხის მქონე (კურსდამთავრებული).

ბ) ფლობდეს ქართულ ენას სასაუბრო დონეზე, უცხოენოვანის შემთხვევაში მინიმალურ (Basic) დონეზე.

დ) სავალდებულოა ფლობდეს ინგლისურ ენას სასაუბრო დონეზე (Intermediate ან B2).

ე) ჰქონდეს კომუნიკაციის, აზრის გამოხატვის ეფექტური უნარები.

ვ) ავლენდეს ლიდერულ უნარ-ჩვევებს.

ზ) სწრაფი ათვისების უნარი.

4.1.3 წევრის შესარჩევი ეტაპები მდგომარეობს შემდეგში:

ა) რეგისტრაცია ბმულიდან www.isie.ge

ბ) გასაუბრების ეტაპი, სადაც პირადად ესწრება აიესაის პრეზიდენტი.

გ) გამოსაცდელი პერიოდი 1 კვირა, სადაც მოწმდება 4.1.2 მოყვანილი კრიტერიუმები.

დ) გასაუბრების ეტაპიდან 5 სამუშაო დღის შემდეგ პრეზიდენტი ან/და მის მიერ მინდობილი პირი, ჩვენ შემთხვევაში ვიცე-პრეზიდენტი ადამიანური რესურსების დარგში, იღებს გადაწყვეტილებას წევრის მიღების თაობაზე.

4.1.4 წევრის გათავისუფლება შეუძლია მხოლოდ აიესაის პრეზიდენტს. აიესაის პრეზიდენტი არ არის ვალდებული განმარტოს გათავისუფლების მიზეზები, რადგან 3.1 განმარტებულია წევრის, როგორც ორგანიზაციის ბენეფიციარის სტატუსი.

4.1.5 იმ შემთხვევაში თუ წევრი გათავისუფლებულია, მისი აღდგენა დაუშვებელია. მას მიენიჭება სტატუსი „Rejected"

4.1.6 წევრი რომელიც ასრულებს გამოცდილების მიღებას აიესაიში თავისი ნებით ან ათავისუფლებენ ახალი წევრების შერჩევის დროს არ მიენიჭება „Rejected" სტატუსი. ასეთ წევრებს მიენიჭებათ „Alumni" სტატუსი.

4.2 პროექტის მენეჯერის დანიშვნა / გათავისუფლების წესები

4.2.1 პროექტის მენეჯერს ნიშნავს აიესაის პრეზიდენტი ან მის მიერ მინდობილირ პირი მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.
4.2.2 პროექტის მენეჯერს ათავისუფლებს აიესაის პრეზიდენტი მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.
4.2.3 იმ შემთხვევაში თუ მენეჯერი გათავისუფლებულია, პრეზიდენტს აქვს უფლება ის აღადგინოს პოზიციაზე მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

4.3 ვიცე პრეზიდენტის დანიშვნა / გათავისუფლების წესები

4.3.1 ვიცე პრეზიდენტს ნიშნავს აიესაის პრეზიდენტი მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.
4.3.2 ვიცე პრეზიდენტის გათავისუფლების უფლება აქვს მხოლოდ წევრთა ასამბლეის 50% + 1 უმრავლესობით. მისი აღდგენა პოზიციაზე ან კვლავ ორგანიზაციის წევრად მიღება დაუშვებელია.

4.0 საორგანიზაციო პროცესები:

4.4 საერთო პროექტის განსაზღვრება

4.4.1 პროექტი არის საერთო, რომელიც შექმნილია წევრთა საერთო ძალისხმევით და არ ეფუძნება არცერთი კერძო პირის მიერ გაცხადებულ ინდივიდუალურად შესრულების გეგმას, ასევე რომლის მენეჯერიც იცვლება აიესაის პრეზიდენტების მიერ რეგულარულად.

4.4.2 საერთო პროექტის შინაარსი ცვალებადია პრეზიდენტისა და მისი გუნდის მიერ ყოველწლიურად.

4.4.3 პრეზიდენტს აქვს ნებისმიერი საერთო პროექტის შეჩერების უფლება თავისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში.

4.4.4 საერთო პროექტიდან მიღებული ფინანსური სარგებელი ინახება ორგანიზაციის ანგარიშზე და მისი განკარგვა ხდება პრეზიდენტის მიერ საერთო ბიუჯეტის ფარგლებში.

4.4.5 საერთო პროექტიდან მიღებული ფინანსური სარგებელი ვერ მოხმარდება ვერცერთ კერძო პირს, მათ შორის პროექტის ორგანიზატორებს.

4.4.6 საერთო პროექტის შექმნა / ინიცირება შეუძლია აიესაის ნებისმიერ წევრს ან წევრთა ჯგუფს, ხოლო პროექტის ორგანიზების დასაწყებად სავალდებულოა პრეზიდენტის დასტური.

4.5 ინდივიდუალური პროექტის განსაზღვრება

4.5.1 ინდივიდუალურია პროექტი, რომელიც შექმნილია ერთი ან მეტი წევრის ან/და ყოფილი წევრების ძალისხმევით და ეფუძნება ერთი კერძო პირის მიერ გაცხადებულ ინდივიდუალური შესრულების გეგმას, სადაც თავად წარმოადგენს პროექტის ინტელექტუალური რესურსის მთავარ წყაროს.

4.5.2 ინდივიდუალური პროექტის მენეჯერის ცვლილება შეუძლია მხოლოდ აიესაის დამფუძნებელს ან უკანასკნელი ხუთი პრეზიდენტისაგან შემდგარ საბჭოს სრული კონსესუსის პირობებში.

4.5.3 ინდივიდუალური პროექტის შეჩერების უფლება აქვს მხოლოდ აიესაის დამფუძნებელს ან უკანასკნელი ხუთი პრეზიდენტისაგან შემდგარ საბჭოს სრული კონსესუსის პირობებში.

4.5.4 ინდივიდუალური პროექტებიდან მიღებული სარგებელი ნაწილდება პროექტის ორგანიზატორის / ავტორის მიერ საკუთარ თავზე ან მისი გუნდის წევრებზე მისივე გადაწყვეტილი პროპორციით.

4.5.5 ინდივიდუალური პროექტის შექმნა / ინიცირება შეუძლია აიესაის ნებისმიერ წევრს ან წევრთა ჯგუფს, ხოლო პროექტის ორგანიზების დასაწყებად სავალდებულოა პრეზიდენტის დასტური.

კომენტარი: *აიესაი პირნათლად იხდის საშემოსავლო სამსახურის (www.rs.ge) მიერ დაწესებულ გადასახადებს, „მიღებულ სარგებელში“ იგულისხმება თანხა გადასახადების გადახდის შემდგომ.*

4.0 საორგანიზაციო პროცესები:

4.6 ორგანიზაციის ფინანსების მართვის წესები:

4.6.1 აიესაის ფინანსებზე პირველი პასუხისმგებლობის მქონე პირი არის აიესაის დამფუძნებელი, რაც გულისხმობს კერძო და ფიზიკურ პირებთან, მთავრობასთან საგადასახადო დავების შემთხვევაში პასუხისმგებლობის აღებას.

4.6.1 აიესაის პრეზიდენტი განკარგავს აიესაის საერთო ბიუჯეტს, რომლსაც აქვს შემოსავალი საერთო და ინდივიდუალური პროექტებიდან.

4.6.2 აიესაის პრეზიდენტი ვალდებულია გონივრულად განკარგოს ბიუჯეტი, არ მოახდინოს რესურსების უსაგნო ხარჯვა და უზრუნველყოს სტაბილური შემოსავალი.

4.6.3 აიესაის პრეზიდენტი ვალდებულია გააკეთოს კვარტალური ანგარიში აიესაის დამფუძნებელთან ან უკანასკნელი ხუთი პრეზიდენტისაგან შემდგარ საბჭოსთან თვეების აპრილის, ივნისის, სექტემბრის და დეკემბრის ყოველ პირველ რიცხვში, სადაც დეტალურად იქნება ასახული თითოული შემოსავალი და ხარჯვის მიზნობრიობა.

4.6.4 ნებისმიერ აიესაის წევრს აქვს უფლება ეჭვის გაქარწყლების ან გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით მოითხოვოს სრული საბანკო ამონაწერები მისი წევრობის პერიოდის განმავლობაში, რადგან ფინანსური გამჭვირვალობა აიესაის ერთერთი მთავარი ღირებულებაა.

5.0 წევრთა ასამბლეა:

5.1 წევრთა ასამბლეას შეკრების წესები

წევრთა ასამბლეა ეწოდება აიესაის ყველა აქტიური წევრის ერთად შეკრებას განურჩევლად მათი პოზიციისა, როცა შეკრების მომხრეა აქტიურ წევრთა 70% + 1 წევრი. შეკრება ხდება ნებისმიერი მიზეზით. შეკრებად არ ითვლება ვირტუალური სივრცეები, მხოლოდ ფიზიკური შეხვედრა სადაც დამსწრეთა მოცემული მინიმალური რაოდენობა დასაბუთებულია ფოტო მასალის მეშვეობით. ასამბლეის წევრობა შეუძლია ყველა ყოფილ პრეზიდენტსა, დამფუძნებელს და თანადამფუძნებლებს, მათი სურვილისამებრ. წევრთა ასამბლეას ჰყავს კრების მდივანი, რომელიც ირჩევა შეკრების დღეს მარტივი უმრავლესობით, მდივანი განკარგავს დღის წესრიგს.

5.2 წევრთა ასამბლეას უფლებები და მოვალეობები

წევრთა ასამბლეას აქვს შემდეგი უფლებები:

ა) მოახდინოს პრეზიდენტის იმპიჩმენტი და ვადაზე ადრე დანიშნოს არჩევნები. პრეზიდენტის იმპიჩმენტისთვის აუცილებელია ხმათა არსებული რაოდენობიდან 80% + 1 ხმა.

ბ) მოახდინოს პრეზიდენტის 4.1.4, 4.1.5, 4.2.2, 4.4.3 პუნქტებში მოცემული უფლებების მიხედვით მიღებული გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა და რეალობის მათი სურვილისამებრ დადგენა, რისთვისაც აუცილებელია ხმათა არსებული რაოდენობიდან 50% + 1 ხმა.

ISIE
404412845

5.0 წევრთა ასამბლეა:

5.3 წევრთა ასამბლეას ჩატარების წესები

5.3.1 შეხვედრა იწყება კრების მდივნის მსურველთა ხელის აწევით, სადაც წევრთა უმრავლესობა აირჩევს კრების მდივანს. მდივანმა პირველ რიგში უნდა გადაიღოს ფოტო მასალა, რომელიც ასაბუთებს 5.1 მოცემულ მოთხოვნებს ასამბლეას ლეგიტიმურობისთვის.

5.3.2 კრების მდივნის არჩევისთანავე არავის არ აქვს კომენტარების, კითხვების, პასუხების და მოთხოვნების დაყენების უფლება მდივნის მიერ მინიჭებული შესაბამისი უფლების გარეშე. კრების დროს აუცილებლად უნდა იქნეს დაცული სრული სიჩუმე.

5.3.3 ყველა წევრს აქვს კომენტარის, კითხვის დასმის, პასუხის გაცემის ან მოთხოვნის დაყენების უფლება ხელის აწევით და მდივანი წყვეტს მათი საუბრის განრიგს.

5.3.4 კრების დროს დაუშვებელია 5.4.3 მუხლში მოცემული კატეგორიების გარდასხვა სახის საუბარი. ხელის აწევის და მდივნის მხრიდან უფლების მიცემისშემთხვევაში წევრი ვალდებულია აზრის გამოთქმამდე დააზუსტოს ამბობს კომენტარს, სვამს კითხვას, სცემს პასუხს თუ აყენებს მოთხოვნას.

5.3.5 კრების მდივანს უფლებამოსილია არ მისცეს წევრს აზრის გამოთქმის საშუალება შინაგანი რწმენის საფუძველზე.

5.3.6 კენჭისყრა არსებობს ორი სახის: ღია - ხელის აწევით და დახურული - ხმის მიცემით. დახურული კენჭისყრის შემთხვევაში ხმებს ითვლის მდივანი და შემთხვევითობის წესით არჩეული 4 კრების წევრი. ხმის მისაცემ ფურცელზე ასახულია მხოლოდ სამი არჩევანი: „დიახ“, „არა“, „არცერთი“. დათვლისას ითვლება მხოლოდ „დიახ“ და „არა“.

5.3.7 მას შემდეგ , რაც დასრულდება 5.4.3 მოცემული პროცესები, დაისმევა ყველა შეკითხვა, გაიცემა პასუხები, გაკეთდება კომენტარები და მოთხოვნები იქნება წამოყენებული . კრების მდივანი კრების საუბრის ნაწილს გამოაცხადებს დახურულად და ჩამოაყალიბებს კენჭისყრის საკითხებს, სადაც ხმათა მარტივი უმრავლესობით გადაწყდება , თუ რომელი საკითხი / მოთხოვნა უნდა გატარდეს ღია და დახურული კენჭისყრის წესით.

5.3.8 კენჭისყრის საკითხები მდივნის მიერ დალაგებული თანმიმდევრობით გაივლის კენჭისყრას, რომლის დროსაც არც ერთ წევრს აღარ აქვს 5.4.3 მოცემული უფლებები.

5.3.9 კრების მდივანი აცხადებს კენჭისყრის შედეგებს, ხელნაწერით ან ბეჭდვით ქმნის კრების ოქმს სადაც ჩამოყალიბებულია პუნქტების მიხედვით ანბანის გამოყენებით კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომელსაც ხელს აწერს თვითონ მდივანი და შემთხვევითობის წესით შერჩეული 4 წევრი.

5.3.10 კრების მიერ მიღებული გადაწვყეტილებები ძალაშია კენჭისყრის დასრულებისა და მდივნისა და 4 წევრის მიერ ხელმოწერისთანავე.

5.3.11 კრება დახურულად ცხადდება გადაწვყეტილებების გამოცხადებისთანავე. იმისთვის რომ კრება ხელახლა დაიწყოს აუცილებელია დაკმაყოფილდეს 5.1 წესებით განსაზღვრული გარემოებები.

6.0 საპრეზიდენტო არჩევნები

6.1 წინა საარჩევნო პროცესები

6.1.1 ყოველი წლის 10 აპრილს იქმნება საარჩევნო ბორდი, რომლის წევრობის უფლებაც აქვს ყველა ყოფილ პრეზიდენტს, დამფუძნებელს და თანადამფუძნებლებს.
6.1.2 მას შემდეგ რაც ბორდის წევრები დადგინდება, წევრების დამატება დაუშვებელია.
6.1.3 საპრეზიდენტო კანდიდატობისთვის მინიმალური მოთხოვნაა ინგლისური ენის თავისუფლად ფლობა და აიესაიში აქტიური წევრობის 6 თვიანი გამოცდილება. აიესაის პრეზიდენტობა ერთ ფიზიკურ პირს შეუძლია მხოლოდ ერთხელ.
6.1.4 ყოველი წლის აპრილის 10 რიცხვიდან 25 რიცხვამდე იწყება საპრეზიდენტო აპლიკაციების მიღება, რომელსაც ეცნობა ბორდი და 25 რიცხვში შეარჩევს და გამოაცხადებს საპრეზიდენტო კანდიდატებს.
6.1.5 საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა ერთ პირს შეუძლია მხოლოდ ერთხელ.

6. 2 საარჩევნო ბორდის შესარჩევი ეტაპი

6.2.1 ბორდთან გასაუბრება ხდება 1 მაისს, სადაც კანდიდატები უპასუხებენ ბორდის დასმულ კითხვებს ინდივიდუალურად.
6.2.2 ბორდი იმავე დღეს მიიღებს გადაწყვეტილებას და გამოაცხადებს საპრეზიდენტო კანდიდატებს არჩევნებისთვის. თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ გადალახა საარჩევნო პროცესი იწყება ხელახლა, ხოლო თუ ერთმა კანდიდატმა გადალახა, საარჩევნო პროცესი გრძელდება.
6.2.3 ბორდის წევრებს აქვთ უფლება მათ ფავორიტ კანდიდატებს გაუწიონ მენტორობა, დაეხმარონ საპრეზიდენტო სიტყვისა და პროგრამის მომზადებაში. თუ ერთ კანდიდატს მაინც ჰყავს მენტორი, მაშინ სავალდებულოა რომ ყველა კანდიდატს ჰყავდეს მენტორი.

6.3 არჩევნების დღის წესრიგი

6.3.1 არჩევნებში ხმის მიცემის უფლება აქვს მხოლოდ აქტიურ წევრებს საპრეზიდენტო კანდიდატების ჩათვლით. ყოფილ წევრებს, საარჩევნო ბორდის წევრებს და ყოფილ პრეზიდენტებს აქვთ დასწრების უფლება დამკვრივებლის როლში.
6.3.2 არჩევნების ჩატარებისთვის აუცილებელია აქტიური წევრების 70% + 1 რაოდენობა.
6.3.3 არჩევნების პროცესებს ხელმძღვანელობს მოქმედი პრეზიდენტი ან მის მიერ შერჩეული ვიცე პრეზიდენტი.
6.3.4 კანდიდატები ანბანის მიხედვით გამოდიან და აცნობენ თავს წევრებს მაქსიმუმ 15 წუთის განმავლობაში.
6.3.5 გამოსვლების შემდგომ ხდება წევრთა კითხვების გაწერა: საერთო და ინვიდიუალური კითხვები.
6.3.6 კანდიდატები ანბანის მიხედვით გასცემენ პასუხს დასმულ კითხვებს, სადაც წევრებს არ აქვთ უფლება დაამატონ ან დააზუსტონ კითხვები.
6.3.7 კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ, კანდიდატებს ანბანის მიხედვით აქვთ უფლება 5 წუთიანი მიმართვით მიმართონ წევრებს.
6.3.8 უკანასკნელი მიმართვების შემდეგ იწყება ხმის მიცემის პროცესი, სადაც ბეჭედ დარტყმულ ბიულეტენებზე ხდება ფარული ხმის მიცემა.
6.3.9 ხმის მიცემის დასრულების შემდეგ, ყველა წევრის სახელი და გვარი ჩაიყრება ყუთში და შემთხვევითობის პრინციპით შეირჩევა 5 სახელი, ეს საბჭო დათვლის ხმებს.
6.3.10 ხმის დათვლის პროცესის დროს კანდიდატები იზოლირებული არიან სხვა წევრებისგან, წევრები იზოლირებული არიან ხმის დამთვლელი საბჭოსგან.
6.3.11 საბჭო გამოავლენს გამარჯვებულს ფარულად მხოლოდ მოქმედ პრეზიდენტთან, მოქმედი პრეზიდენტი კი ყველა წევრის, დამკვირვებლებისა და კანდიდატების თანდასწრებით გამოავლენს გამარჯვებულს.

7.0 ხელმოწერები

ქეთევან ხორავა
მეექვსე პრეზიდენტი

დიანა ჯაიშური
მეხუთე პრეზიდენტი

მარიამ ხორავა
მეოთხე პრეზიდენტი

ნინო მაღრაძე
მესამე პრეზიდენტი

ბააკა ბაბუნაშვილი
მეორე პრეზიდენტი

გიორგი დოლიძე
დამფუძნებელი / პირველი პრეზიდენტი

ლევანი სუმბაძე
თანადამფუძნებელი

მიხეილ ცაგურია
თანადამფუძნებელი

საბა საბანაძე
თანადამფუძნებელი

07.06.2018

ბეჭდის ადგილი

აიესაის წევრები

ანა მარგველანი
ანა მხეიძე
ანა ხარებაშვილი
გიორგი ბოჭორიშვილი
გიორგი კიკაძე
თამუნა თოდიძე
თამუნა ურუტაძე
თემურ პავლიაშვილი
ილია ბაძაღუა
მარიამ იასეშვილი
მარიამ იობიძე
მარიამ კვანტალიანი
მარიამ ნოზაძე
მარიამ ქსოვრელი
მარიამ ხუჭუა
მარიამო ღაღანიძე
მარი კაბერიძე
მეგი გუტაშვილი
მიშო თვალაბეიშვილი
მუსტაფა ალქაბი
ნატო პაპელიშვილი
ნინო გოგალაძე
სალო მეკაპანაძე